

ახსნა-განმარტება საკონსულო დაწესებულების ინფორმირების შესახებ

საკონსულო ურთიერთობების შესახებ ვენის კონვენციის 36-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ვალდებულია, თქვენი მოთხოვნის საფუძველზე, თქვენი ქვეყნის საკონსულო დაწესებულებას დაუყონებლივ აცნობოს ინფორმაცია თქვენი თავისუფლების აღკვეთის შესახებ. ეს შეტყობინება გაიცემა სასამართლოს, პროკურატურის ან იმ სასჯელაღსრულების დაწესებულების მიერ, სადაც თქვენ ამჟამად იმყოფებით.

ამასთანავე, თქვენი თანხმობის შემთხვევაში, თქვენი ქვეყნის საკონსულო დაწესებულება მიიღებს ინფორმაციას თავისუფლების აღკვეთის მიზეზის და საქმის ვითარების შესახებ. აღნიშნული თანხმობის გაუქმება შეგიძლიათ ნებისმიერ დროს.

დამატებით გაცნობებთ, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და სხვადასხვა ქვეყნებს შორის დადებულია ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლობის ინფორმირების ვალდებულებას, დაკავებული პიროვნების თანხმობის გარეშე და წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაშიც. ასეთი ხელშეკრულება ამჟამად დადებულია შემდეგ ქვეყნებთან:

დომინიკა, ფიჯის რესპუბლიკა, გრენადა, საბერძნეთი, გაიანა, იტალია, იამაიკა, ლესოთო, მალავი, მალტა, მავრიკი, მონაკო, სიერა-ლეონე, ესპანეთი*, სენტ-კისტის და ნევისის ფედერაცია, სენტ-ვინსენტი და გრენადინები, ტუნისი, დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო და ჩრდილოეთ ირლანდია (ნორმანიის კუნძულების, მენის კუნძულების და ბრიტანეთის საზღვრის გარეთა კუნძულების ჩათვლით (ანგილია, ბერმუდა, ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები, ფოლკლენდის კუნძულები, გიბრალტარი, კაიმანის კუნძულები, მონსერატი, პიტკერნის კუნძულები, წმინდა ელენეს კუნძული, ამაღლების კუნძული, ტრისტან-და-კუნია, ტერქისისა და კაიკოსის კუნძულები)), კვიპროსი.

თუ თქვენ ზემოთჩამოთვლილი ქვეყნებიდან ერთერთი ქვეყნის მოქალაქეობა გაქვთ, ამ შემთხვევაში სასამართლო, პროკურატურა ან ის სასჯელაღსრულების დაწესებულება, სადაც ამჟამად იმყოფებით, თქვენი თანხმობის გარეშე, ნებისმიერ შემთხვევაში მიაწოდებს თქვენი ქვეყნის საკონსულო დაწესებულებას, ინფორმაციას თქვენი თავისუფლების აღკვეთის თაობაზე.

თუ გსურთ, შეგიძლიათ პირადად შეატყობინოთ თქვენი ქვეყნის საკონსულო დაწესებულებას, ინფორმაცია თავისუფლების აღკვეთის თაობაზე. ასევე შეგიძლიათ ნებისმიერ დროს გაუგზავნოთ მათ სხვადასხვა სახის შეტყობინებები.

* გაითვალისწინეთ, რომ ეს ოფიციალური შეტყობინება განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენ თვითონ არ შეგიძლიათ თქვენი ქვეყნის საკონსულო დაწესებულებაში შეტყობინების გაგზავნა.